

# საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №1  
2018 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ**

„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, „სამხედრო პოლიციის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ და „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სპეციალური წოდების მქონე პირთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულებისა და „სამშვიდობო და სხვა სახის ოპერაციების განსახორციელებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სამოქალაქო პერსონალის სტატუსით წარგზავნილ პირთა და სპეციალური წოდების მქონე პირთა სამივლინებო ზღვრული ყოველთვიური ნორმებისა და სხვა სოციალური პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 აგვისტოს №490 დადგენილების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

## **მუხლი 1**

დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები“.

## **მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანება.

## **მუხლი 3**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი

ლევან იზორია

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები**

თავი I  
**ზოგადი დებულებები**

## **მუხლი 1**

1. ამ ბრძანებით განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები.

2. ამ ბრძანების მიზნებისთვის მოსამსახურეს წარმოადგენს:

ა) სამხედრო მოსამსახურე;

ბ) სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირი;



გ) სამოქალაქო პირი;

დ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

ე) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

## მუხლი 2

სამხედრო მოსამსახურეთათვის ამ ბრძანებით განსაზღვრული სოციალური დაცვის, მატერიალური უზრუნველყოფისა და შრომის ანაზღაურების პირობები ვრცელდება აგრეთვე სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეებზე.

## მუხლი 3

ამ ბრძანებით გათვალისწინებული საქართველოს თავდაცვის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) უფლებამოსილებები, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შეიძლება დელეგირებული იქნეს მის ერთ-ერთ მოადგილეზე.

## თავი II

### შრომის ანაზღაურება

## მუხლი 4

1. სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება შედგება:

ა) სამხედრო მოსამსახურისათვის (რეზერვში ჩარიცხული პირის გარდა) - წოდებრივი სარგოსგან, სასურსათო ულუფის ნაცვლად დაწესებული ფულადი კომპენსაციისგან და ამ ბრძანებით ან მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი კრიტერიუმებით განსაზღვრული დანამატებისგან. სამხედრო მოსამსახურეს ანაზღაურება ეძლევა თავისი სამხედრო წოდების შესაბამისი წოდებრივი სარგოს მიხედვით;

ბ) სამინისტროს თავდაცვის ძალების სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებისთვის – თანამდებობრივი (დანართი №3) და წოდებრივი (დანართი №4) სარგოებისგან, სასურსათო ულუფის ნაცვლად დაწესებული ფულადი კომპენსაციისგან და ამ ბრძანებით ან მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი კრიტერიუმებით განსაზღვრული დანამატებისგან;

გ) სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებისთვის – თანამდებობრივი (დანართი №9) და წოდებრივი სარგოებისგან (დანართი №4), სასურსათო ულუფის ნაცვლად დაწესებული ფულადი კომპენსაციისგან და ამ ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმებით განსაზღვრული დანამატებისგან;

დ) სამოქალაქო პირებისთვის – თანამდებობრივი სარგოსგან და ამ ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმებით განსაზღვრული დანამატებისგან;

ე) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის – ადმინისტრაციული ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით და ამ ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმებით განსაზღვრული დანამატისგან;

ვ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის – შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით;

ზ) რეზერვში ჩარიცხული პირისათვის - წოდებრივი სარგოსგან.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ფულადი სარგო შედგება:



ა) სამხედრო მოსამსახურეთათვის – წოდებრივი სარგოსაგან;

ბ) სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთათვის – თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოებისაგან.

3. სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სამოქალაქო პირების თანამდებობრივი სარგო, სახელფასო დანამატი, საკლასო დანამატი და ფულადი ჯილდო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა თანამდებობრივი სარგო, სახელფასო დანამატი, საკლასო დანამატი და ფულადი ჯილდო რეგულირდება ამ ბრძანებით, ხოლო შრომის ანაზღაურების სხვა პირობები „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

5. სამოქალაქო ოფისის სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირების თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტები, დაინტერესებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთან შეთანხმებით, დგინდება სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის მიერ და დასამტკიცებლად წარედგინება მინისტრს ფინანსების მართვის დეპარტამენტთან და შესაბამის კურატორ მინისტრის მოადგილეებთან შეთანხმებით. დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტები აისახება სამოქალაქო ოფისის საშტატო ნუსხაში.

6. სამოქალაქო ოფისის სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირების თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტები განისაზღვრება სამოქალაქო ოფისის სამუშაოს ანალიზის ინსტრუქციით, რომელსაც სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი სტრუქტურულ ქვედანაყოფთან შეთანხმებით დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს.

7. სამოქალაქო პირთა თანამდებობების თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით ამ ბრძანების №2<sup>1</sup> დანართით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №63 - ვებგვერდი, 07.08.2018წ.*

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.*

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.*

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 01.12.2020წ.*

## **მუხლი 5**

1. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს, რომლებიც დანიშნული ან მივლინებული არიან დროებით შტატზე, ანაზღაურება მიეცემათ დროებითი შტატით გათვალისწინებული ფულადი/თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი ოდენობით.

2. სამინისტროს თავდაცვის ძალების და სამინისტროს მმართველოს სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეებს, სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ შესაბამის თანამდებობაზე მოვალეობის შესრულება, ანაზღაურება მიეცემათ შესაბამის თანამდებობაზე განსაზღვრული ფულადი/თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების ოდენობით.

3. სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეებს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის ეძლევა სახელფასო დანამატი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. მოსამსახურეს (გარდა სამხედრო მოსამსახურისა), რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს და თავისუფლდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან (სხვა ფუნქციების შესრულება), ეძლევა არმყოფი მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო, თუ იგი აღემატება მის თანამდებობრივ სარგოს. თუ თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო მისი შემცველი პირის თანამდებობრივ სარგოზე ნაკლებია, შემცველ პირს



უნარჩუნდება თავისი თანამდებობრივი სარგო. პირს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების გარეშე (დამატებითი ფუნქციების შესრულება), მინისტრის თანხმობის შემთხვევაში, თავისი თანამდებობრივი სარგოს გარდა, ეძლევა დანამატი არმყოფი მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ამ შემთხვევაში, დანამატის ერთდროული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ერთი თვის ოდენობას, ხოლო წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი დანამატის ოდენობა – თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 20%-ს.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამსახურეს დაეკისრება მივლინებული მოსამსახურის მოვალეობის შესრულება, მივლინებულ მოსამსახურეს მივლინებაში ყოფნის პერიოდში უნარჩუნდება საიდუმლო დოკუმენტაციასთან დაშვებისა და მუშაობისთვის გათვალისწინებული, აგრეთვე, კონკრეტული თანამდებობისთვის დაწესებული სპეციალური დანამატები, ხოლო იმ მოსამსახურეზე, რომელსაც დაეკისრება მივლინებაში მყოფი მოსამსახურის მოვალეობის შესრულება, დანამატები გაიცემა მხოლოდ მისი ძირითადი თანამდებობისათვის გათვალისწინებული დანამატების შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 22.02.2018წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 18.10.2018წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 10 თებერვლის ბრძანება №19 - ვებგვერდი, 11.02.2020წ.*

## **მუხლი 6**

1. სამხედრო მოსამსახურეებსა და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევათ:

ა) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეების, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა, სამხედრო განათლებისა და მომზადების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 თებერვლის №31 ბრძანებით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევათ სასურსათო ულუფა ან ამ ბრძანების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა;

ბ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეების, მოსწავლეების (კადეტების) და იუნკერების/მსმენელების სანივთე ქონებით უზრუნველყოფის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 15 დეკემბრის №94 ბრძანებით დადგენილი სანივთე ქონება.

2. თუ სამხედრო მოსამსახურე ან და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირი არ დგას სასურსათო კმაყოფაზე, მას სასურსათო ულუფის ნაცვლად მიეცემა სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდებისა.

3. სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა არ მიეცემათ:

ა) სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს და რეზერვისტთა ან წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვიდან ჩარიცხულ მსმენელებს;

ბ) სამხედრო მოსამსახურეებს და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეების, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა, სამხედრო განათლებისა და მომზადების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 თებერვლის №31 ბრძანების 1<sup>5</sup> პუნქტით განსაზღვრულ იმ პერიოდზე, როდესაც არ უნდა



განხორციელდეს მათი სასურსათო ულუფით უზრუნველყოფა. მიუხედავად ამ ქვეპუნქტის მოთხოვნისა, სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა გაიცემა კადრების განკარგულებაში ყოფნისას 2 თვის განმავლობაში.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 1 ივლისის ბრძანება №53 - ვებგვერდი, 02.07.2020წ.*

## **მუხლი 7**

1. სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა სამხედრო მოსამსახურეებისათვის განისაზღვროს თვეში:

ა) საერთო საჯარისო შემადგენლობისთვის – 75 ლარის ოდენობით;

ბ) სამხედრო მფრინავებისათვის და მფრინავი შემადგენლობისთვის – 145 ლარის ოდენობით;

გ) მეზღვაურთა შემადგენლობისთვის – 85 ლარის ოდენობით;

დ) სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის განისაზღვროს თვეში 75 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა გაიცემა შემდეგი თვის შრომის ანაზღაურების პერიოდისათვის. არასრული თვის შემთხვევაში სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა იანგარიშება კალენდარული დღეების მიხედვით.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.*

## **მუხლი 8**

კონტრაქტორების მიერ სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა სასურსათო უზრუნველყოფის ორგანიზების განხორციელების შემთხვევაში კვების ყოველდღიური ნორმის ღირებულებას ემატება შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებისა და სხვა ხარჯები.

## **მუხლი 9**

1. სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, რომლებიც გადიან საწყის საბრძოლო მომზადების (BCT) კურსს, აღნიშნული კურსის განმავლობაში მიეცემათ წოდებრივი სარგო ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით ფაქტობრივად ნამსახურები კალენდარული დღეების პროპორციულად.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირებს, გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსის წარმატებით დასრულებისა და სამხედრო სამსახურის გაგრძელების შემდეგ ხელფასი მიეცემათ ამ ბრძანებით დადგენილი ოდენობით.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 3 აპრილის ბრძანება №34 - ვებგვერდი, 06.04.2020წ.*

## **მუხლი 9<sup>1</sup>**

სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეს წოდებრივი სარგო მიეცემა სამხედრო ნაწილში ჩარიცხვის დღიდან.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 3 აპრილის ბრძანება №34 - ვებგვერდი, 06.04.2020წ.*

## **მუხლი 10**

კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში:



ა) სამხედრო მოსამსახურეს უნარჩუნდება არაუმეტეს ორი თვის:

ა.ა) წოდებრივი სარგო;

ა.ბ) წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი;

ა.გ) სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაცია;

ბ) სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეს უნარჩუნდება არაუმეტეს ორი თვის;

ბ.ა) თანამდებობრივი სარგო, ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად;

ბ.ბ) წოდებრივი სარგო;

ბ.გ) წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი;

ბ.დ) სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაცია არაუმეტეს ორი თვისა.

გ) სამოქალაქო პირს უნარჩუნდება არაუმეტეს ერთი თვის თანამდებობრივი სარგო ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად.

2. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც ვაკანტურ თანამდებობაზე ან დროებით შტატზე დაეკისრება მოვალეობის შესრულება, შრომის ანაზღაურება ეძლევა სრულად როგორც წოდებრივი სარგოს, ისე ყველა სახის დანამატის და სასურსათო ულუფის ნაცვლად დაწესებული ფულადი კომპენსაციის სახით. მოსამსახურე მიიღებს ვაკანტური თანამდებობისთვის ან დროებითი შტატისთვის განსაზღვრულ დანამატებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ოდენობა აღემატება მოსამსახურის დანამატის (გარდა წელთა ნამსახურობის დანამატისა) ოდენობას, ხოლო თუ ვაკანტური თანამდებობისთვის ან დროებითი შტატისთვის განსაზღვრული დანამატები ნაკლებია, მოსამსახურეს უნარჩუნდება თავისივე დანამატები.

3. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც დაეკისრება თანამდებობაზე დროებით არმყოფი სამხედრო მოსამსახურის მოვალეობა, შრომის ანაზღაურება ეძლევა წოდებრივი სარგოს, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის და სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაციის სახით.

4. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სამოქალაქო პირს, რომელსაც დაეკისრება ვაკანტურ თანამდებობაზე ან დროებით შტატზე მოვალეობის შესრულება, ანაზღაურება ეძლევა როგორც თანამდებობრივი სარგოს, ისე დანამატების სახით. მოსამსახურე მიიღებს ვაკანტური თანამდებობისთვის ან დროებითი შტატისთვის განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოს და დანამატს იმ შემთხვევაში, თუ მათი ოდენობა აღემატება მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოს და დანამატის (გარდა წელთა ნამსახურობის დანამატისა) ოდენობას, ხოლო თუ ვაკანტური თანამდებობისთვის ან დროებითი შტატისთვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგო და დანამატები ნაკლებია, მოსამსახურეს უნარჩუნდება თავისივე თანამდებობრივი სარგო და დანამატები.

5. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სამოქალაქო პირს, რომელსაც დაეკისრება თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოსამსახურის მოვალეობა, მიეცემა შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგო იმ შემთხვევაში, თუ მისი ოდენობა აღემატება მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს, ხოლო თუ დროებით არმყოფი მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო ნაკლებია, მოსამსახურეს უნარჩუნდება თავისივე თანამდებობრივი სარგო.

6. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეს, რომელსაც ვაკანტურ თანამდებობაზე ან დროებით შტატზე დაეკისრება მოვალეობის შესრულება, შრომის ანაზღაურება ეძლევა სრულად როგორც თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოს, ისე ყველა სახის დანამატის და სასურსათო ულუფის ნაცვლად დაწესებული ფულადი კომპენსაციის სახით. მოსამსახურე მიიღებს ვაკანტური თანამდებობისთვის ან დროებითი შტატისთვის განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოს და დანამატებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ოდენობა აღემატება



მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს და დანამატის (გარდა წელთა ნამსახურობის დანამატისა) ოდენობას, ხოლო თუ ვაკანტური თანამდებობისთვის ან დროებითი შტატისთვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგო და დანამატები ნაკლებია, მოსამსახურეს უნარჩუნდება თავისივე დანამატები.

7. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეს, რომელსაც დაეკისრება თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოსამსახურის მოვალეობა, შრომის ანაზღაურება ეძლევა თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოს, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის და სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაციის სახით. მოსამსახურე მიიღებს დროებით არმყოფი მოსამსახურის თანამდებობრივ სარგოს იმ შემთხვევაში, თუ მისი ოდენობა აღემატება მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ოდენობას, ხოლო თუ დროებით არმყოფი მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა ნაკლებია, მოსამსახურეს უნარჩუნდება თავისივე თანამდებობრივი სარგო.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 18.10.2018წ.*

## **მუხლი 11**

ნამსახურობის დღეების დაანგარიშებასთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედება (მათ შორის – გამოცემული აქტი) სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს გაასაჩივროს ნამსახურების დღეების გაზრდილი ოდენობით დაანგარიშების უფლების წარმოქმნიდან ერთი თვის ვადაში.

## **მუხლი 12**

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო აისახება საშტატო ნუსხაში და იგი არ უნდა აღემატებოდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართის №1 ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

2. შრომითი ხელშეკრულებით მისაღები პირების თანამდებობრივი დასახელების ნუსხა და რაოდენობა, აგრეთვე შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შრომითი ხელშეკრულებით მისაღებ იმ პირთა შრომის ანაზღაურება, რომელიც არ იქნება განსაზღვრული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განისაზღვრება მინისტრის მიერ მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

3. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართის №1 ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

## **მუხლი 13**

თუ ამ ბრძანებით განსაზღვრული დანამატი ან სხვა გასაცემი შეიძლება გაიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში და შესაბამისი კატეგორია ან თანამდებობათა ნუსხა არ დამტკიცდა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იგულისხმება, რომ დანამატი ან სხვა გასაცემი შეიძლება გაიცეს მხოლოდ კატეგორიის ან ნუსხის დამტკიცების აქტით განსაზღვრული თარიღიდან და შესაბამისად, ამ კატეგორიის ან ნუსხის დამტკიცებამდე (თარიღამდე), შესაბამის გასაცემლებზე ვალდებულებები არ წარმოიქმნება.

## **მუხლი 14**

1. სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს საბრძოლო დავალების, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და



სამაგალითო დისციპლინისათვის შეიძლება მიეცეთ ფულადი ჯილდო ან ერთჯერადი დახმარება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების გარდა, სამხედრო მოსამსახურეებს ღირსეული საქციელისათვის შეიძლება მიეცეთ ფულადი ჯილდო „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 მარტის №124 დადგენილებით დამტკიცებული წესდების შესაბამისად.

## მუხლი 15

დამტკიცდეს:

ა) სამხედრო მოსამსახურეთა ყოველთვიური წოდებრივი სარგოები (დანართი №1);

ბ) სამინისტროს თავდაცვის ძალების სამოქალაქო თანამდებობის პირთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოები (დანართი №2);

ბ<sup>1</sup>) სამინისტროს თავდაცვის ძალების სამოქალაქო თანამდებობების ნუსხა და კოეფიციენტების კატეგორიები თანამდებობრივი სარგობისთვის (დანართი №2<sup>1</sup>);

გ) სამინისტროს თავდაცვის ძალების სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოები (დანართი №3);

დ) სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა ყოველთვიური წოდებრივი სარგოები (დანართი №4);

ე) სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს და სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადის სასწავლო ცენტრი „სორტას“ სამოქალაქო პირების თანამდებობრივი სარგოები (დანართი №5).

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.*

### თავი III

## სამინისტროს კრიტერიუმებით განსაზღვრული დანამატები

## მუხლი 16

დამტკიცდეს:

ა) სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრების (სამოქალაქო პირებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების) ყოველთვიური დანამატები (დანართი №6);

ბ) სამინისტროს თავდაცვის ძალების მოსამსახურეთა, ასევე სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეთა დანამატები (დანართი №7);

გ) სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების მოსამსახურეთა დანამატები (დანართი №8);

დ) სამინისტროს სამოქალაქო ოფისის, სამინისტროს თავდაცვის ძალების და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეთა დანამატები (დანართი №14).





ე) (ამოღებულია - 17.05.2019, №20).

ვ) სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის ცენტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის მოსამსახურეთა დანამატები (დანართი №16);

ზ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამსახურის საინჟინრო გეოდეზიური განყოფილების მოსამსახურეთა დანამატები (დანართი N17);

თ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) სამოქალაქო პირთა დანამატები (დანართი №18).

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 მაისის ბრძანება №35 - ვებგვერდი, 15.05.2018წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №61 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანება №62 - ვებგვერდი, 31.07.2018წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №63 - ვებგვერდი, 07.08.2018წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 18.10.2018წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 17 მაისის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 20.05.2019წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 31.10.2019წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 10 თებერვლის ბრძანება №19 - ვებგვერდი, 11.02.2020წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის ბრძანება №26 - ვებგვერდი, 13.03.2020წ.  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 17 მარტის ბრძანება №27 - ვებგვერდი, 17.03.2020წ.*

## **მუხლი 17**

ამ ბრძანებით განსაზღვრული დანამატები არ გაიცემა სამინისტროს სამოქალაქო ოფისში ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, გარდა N6 დანართით გათვალისწინებული დანამატისა.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანება №62 - ვებგვერდი, 31.07.2018წ.*

## **მუხლი 18**

ოფიცერთა, კაპრალთა და სერჟანტთა (მიჩმანთა), ასევე საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში მყოფ რიგითთა შემადგენლობას სამხედრო სამსახურში ნამსახურები კალენდარული წლების (მათ შორის, სსრკ-ის ჯარში სამსახურის პერიოდს 1991 წლის 21 დეკემბრამდე) მიხედვით ნამსახურობისათვის (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურობისა) ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი (წელთა ნამსახურობის) ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით:

ა) 1-დან 2 წლამდე – 5%;

ბ) 2-დან 5 წლამდე – 10%;

გ) 5-დან 10 წლამდე – 20%;

დ) 10-დან 15 წლამდე – 25%;

ე) 15-დან 20 წლამდე – 30%;

ვ) 20-დან 25 წლამდე – 35%;

ზ) 25-დან 30 წლამდე – 40%;

თ) 30 წელი და მეტი – 45%.

შენიშვნა:



სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურობასთან დაკავშირებით ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისი არ ვრცელდება სამხედრო სასწავლებელში სამხედრო მოსამსახურის სწავლის პერიოდზე.

## მუხლი 19

სამინისტროს სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს სამხედრო და სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები საერთო ოდენობის კალენდარული წლების მიხედვით ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით:

- ა) 1-დან 2 წლამდე – 5 %;
- ბ) 2-დან 5 წლამდე – 10 %;
- გ) 5-დან 10 წლამდე – 20 %;
- დ) 10-დან 15 წლამდე – 25 %;
- ე) 15-დან 20 წლამდე – 30 %;
- ვ) 20-დან 25 წლამდე – 35 %;
- ზ) 25-დან 30 წლამდე – 40 %;
- თ) 30 წელი და მეტი – 45 %.

შენიშვნა:

ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებზე.

## მუხლი 20

სამოქალაქო პირებს შრომითი სტაჟის საერთო ოდენობის კალენდარული წლების მიხედვით შრომითი საქმიანობისთვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

- ა) 1-დან 2 წლამდე – 5 %;
- ბ) 2-დან 5 წლამდე – 10 %;
- გ) 5-დან 10 წლამდე – 20 %;
- დ) 10-დან 15 წლამდე – 25 %;
- ე) 15 წელი და მეტი – 30 %.

შენიშვნა:

ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სამოქალაქო პირებზე.

## მუხლი 21

სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს საჯარო მოხელის საკლასო ჩინისათვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი თანამდებობრივი/წოდებრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:



ა) ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს – 40%;

ბ) I კლასის სახელმწიფო მრჩეველს, I კლასის მრჩეველს – 35%;

გ) სახელმწიფო მრჩეველს, II კლასის მრჩეველს, საჯარო სამსახურის I კლასის მრჩეველს – 30%;

დ) III კლასის მრჩეველს, საჯარო სამსახურის II კლასის მრჩეველს, საჯარო სამსახურის I კლასის რეფერენტს – 25%;

ე) საჯარო სამსახურის III კლასის მრჩეველს, საჯარო სამსახურის II კლასის რეფერენტს – 20%;

ვ) საჯარო სამსახურის III კლასის რეფერენტს – 15%.

შენიშვნა:

ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სამოქალაქო პირებზე.

## მუხლი 22

სამინისტროსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს (მათ შორის, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს), რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი, ეძლევათ ყოველთვიური დანამატი შემდეგი ოდენობით:

ა) 4 შვილზე – 250 ლარი;

ბ) 5 შვილზე – 300 ლარი;

გ) 6 შვილზე – 400 ლარი;

დ) 7 შვილზე – 500 ლარი;

ე) 8 შვილზე – 600 ლარი;

ვ) 9 და მეტ შვილზე – 700 ლარი.

შენიშვნა:

1. სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეებზე ყოველთვიური დანამატი გაიცემა შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტიდან.

2. ყოველთვიური დანამატი გაიცემა არასრულწლოვანი შვილების შემთხვევაში – 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო შრომისუუნარო/შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილების შემთხვევაში – ასაკის მიუხედავად.

3. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებზე.

## მუხლი 23

1. სამხედრო მფრინავებს თითოეული საბრძოლო გაფრენისათვის ეძლევათ დანამატი 100 ლარის ოდენობით.

2. სამხედრო მოსამსახურეებს პარაშუტით თითოეული ხტომისათვის ეძლევათ დანამატი ფულადი სარგოს შემდეგი ოდენობით:



ა) 2-დან 10-მდე - 0.5%;

ბ) 10-დან 50-მდე - 1%;

გ) 50-დან 300-მდე - 1.5%;

დ) 300-დან 500-მდე - 2%;

ე) 500-დან 1000-მდე - 2,5%;

ვ) 1000 და მეტი -3%;

ზ) ინსტრუქტორ-პარამუტისტებს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დანამატი ეძლევათ წელიწადში არაუმეტეს 100, ხოლო სხვა სამხედრო მოსამსახურეებს არაუმეტეს 50 ხტომაზე. ინსტრუქტორ-პარამუტისტებს დანამატი ეძლევათ 300 ნახტომის შესრულების შემდეგ.

## მუხლი 24

1. სამხედრო მოსამსახურეებს ყოველ 10 მეტრ სიღრმეზე ერთი საათის განმავლობაში, წყალქვეშ შესრულებული სამუშაოებისათვის, ეძლევათ დანამატი – 54 ლარის ოდენობით.

2. სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო პირებს, რომლებიც „პრაქტიკულ ფრენებზე დაშვებისათვის ყოველწლიური შემოწმების შედეგების საფუძველზე“ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრებიან ეკიპაჟების მეთაურებად ან მეორე მფრინავებად და ახორციელებენ პრაქტიკულ ფრენებს საჰაერო ხომალდზე ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი შემდეგი ოდენობით:

ა) თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ეკიპაჟების მეთაურებს – წოდებრივი/თანამდებობრივი სარგოს 70%-ის ოდენობით;

ბ) თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების მეორე მფრინავებს – წოდებრივი/თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით.

3. სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო პირებს, რომლებიც ახორციელებენ პრაქტიკულ ფრენებს საჰაერო ხომალდზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი შემდეგი წესით:

ა) თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების შტურმანებს – წოდებრივი/თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით;

ბ) თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ბორტინჟინრებს (ბორტტექნიკოსებს, ბორტმექანიკოსებს) – წოდებრივი/თანამდებობრივი სარგოს 30 %-ს ოდენობით.

4. სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო პირებს, რომლებიც ყოველწლიური შემოწმების საფუძველზე დაშვებულნი არიან საფრენ აპარატებთან პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად ინჟინრებისა და ტექნიკოსების ფუნქციების განსახორციელებლად, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი – წოდებრივი/თანამდებობრივი სარგოს 5%-ის ოდენობით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 22.02.2018წ.

## მუხლი 24<sup>1</sup>

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის უფროს სერჟანტ ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის საკონტრაქტო (პროფესიული), კადრის სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო პირებს მაღალმთიან



რეგიონში სამსახურისათვის მიეცემათ ყოველთვიური დანამატი 250 ლარის ოდენობით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №110 - ვებგვერდი, 02.12.2020წ.

## მუხლი 25

საბრძოლო მორიგეობაში (განწესში) მყოფ სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ეძლევათ დანამატი საბრძოლო მორიგეობაში (განწესში) ყოფნის ყოველი ერთი საათისთვის – ერთი ლარის ოდენობით.

## მუხლი 26

სამინისტროს იმ სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მუშაობენ საიდუმლო დოკუმენტებთან, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებთან დაშვებისა და მუშაობისათვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი სამხედრო მოსამსახურეებს ფულადი სარგოს, ხოლო სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს თანამდებობრივი სარგოს 15%-ის ოდენობით. აღნიშნული კატეგორიის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა თანამდებობების ნუსხას ამტკიცებს მინისტრი.

## შენიშვნა:

ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებზე.

## მუხლი 27

სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს, რომელთა თანამდებობების ნუსხას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მინისტრი, დაშიფრვაზე უწყვეტი მუშაობისათვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი თანამდებობრივი/წოდებრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) 1-დან 3 წლამდე – 10%;

ბ) 3-დან 6 წლამდე – 15%;

გ) 6 წელი და მეტი – 20%.

## შენიშვნა:

აღნიშნული მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 მაისის ბრძანება №35 - ვებგვერდი, 15.05.2018წ.

## მუხლი 28

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების „ბუნდესვერის“ ორგანიზებით დაგეგმილ სწრაფი რეაგირების ძალების (Quick Reaction Forces-QRF) წვრთნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წარგზავნის პერიოდში მოსამსახურეებს დაუწესდეთ ყოველთვიური დანამატი 535 ლარის ოდენობით.

## მუხლი 29

სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო



პირებს სამეცნიერო ხარისხისათვის/დოქტორის აკადემიური ხარისხისათვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი სამხედრო მოსამსახურეებს ფულადი სარგოს, ხოლო სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს - თანამდებობრივი სარგოს 25%-ის ოდენობით.

## შენიშვნა:

აღნიშნული მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებზე.

## მუხლი 30

1. სამინისტროს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების, ასევე სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც გავლილი აქვთ რეინჯერთა მომზადების კურსი და რომელთა კატეგორიებს ამტკიცებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ანაზღაურებასთან ერთად ეძლევათ ყოველთვიური დანამატი 125 ლარის ოდენობით. აღნიშნული დანამატი ასევე გაიცემა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ იმ სამხედრო მოსამსახურეებზე, რომელთაც გავლილი აქვთ აშშ-ს რეინჯერთა მომზადების კურსი და მსახურობენ სამინისტროს თავდაცვის ძალებში.

2. სამინისტროს სამოქალაქო ოფისის, სამინისტროს თავდაცვის ძალების და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეებს, დაუწესდეთ ყოველთვიური დანამატები №14 დანართის შესაბამისად.

3. (ამოღებულია - 30.10.2019, №38).

4. (ამოღებულია - 13.01.2020, №5).

5. (ამოღებულია - 13.01.2020, №5).

6. (ამოღებულია - 17.05.2019, №20).

7. (ამოღებულია - 03.04.2020, №34).

8. სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც გავლილი აქვთ რეინჯერთა მომზადების კურსი, კომანდოს კურსი და/ან მოიერიშეს კურსი, კურსის დამთავრების (სერტიფიკატის მიღების) შემდეგ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ანაზღაურებასთან ერთად ეძლევათ ყოველთვიური დანამატი 250 ლარის ოდენობით.

9. სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც გავლილი აქვთ სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური დანიშნულების კურსი და/ან სპეციალური ოპერაციების ძალების საზღვაო სპეციალური დანიშნულების კურსი, კურსის დამთავრების (სერტიფიკატის მიღების) შემდეგ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ანაზღაურებასთან ერთად ეძლევათ ყოველთვიური დანამატი 450 ლარის ოდენობით.

10. ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც წარმოექმნებათ ერთდროულად 250 და 450 ლარის ოდენობის დანამატის მიღების უფლება, მიეცემათ მხოლოდ მე-9 პუნქტით გათვალისწინებული 450 ლარის ოდენობის დანამატი.

11. სამინისტროს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების, ასევე სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც გავლილი აქვთ სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური დანიშნულების კურსი და/ან სპეციალური ოპერაციების ძალების საზღვაო სპეციალური დანიშნულების კურსი და აღარ მსახურობენ სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალებში, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ანაზღაურებასთან ერთად



ედლევათ ყოველთვიური დანამატი 450 ლარის ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ კურსის დამთავრებიდან სპეციალურ ოპერაციების ძალებში მსახურობდა ოფიცერთა შემადგენლობა არანაკლებ 5 წელი, ხოლო კაპრალ-სერჟანტთა შემადგენლობა არანაკლებ 8 წელი. იმ კაპრალ-სერჟანტთა შემადგენლობას, რომლებიც კურსის დამთავრების შემდეგ სპეციალური ოპერაციების ძალებში სამსახურის პერიოდში გახდნენ ოფიცრები, უნდა ჰქონდეთ სპეციალური ოპერაციების ძალებში ოფიცრის ხუთწლიანი ან სერჟანტად და ოფიცრად ერთად ნამსახურობის 8-წლიანი სტაჟი.

- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 მაისის ბრძანება №35 - ვებგვერდი, 15.05.2018წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №61 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 16 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 17.01.2019წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 27 თებერვლის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 27.02.2019წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 17 მაისის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 20.05.2019წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება №33 - ვებგვერდი, 22.10.2019წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №37 - ვებგვერდი, 23.10.2019წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება №38 - ვებგვერდი, 31.10.2019წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 3 აპრილის ბრძანება №34 - ვებგვერდი, 06.04.2020წ.

### **მუხლი 31**

სამინისტროს სისტემის სამხედრო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებს, აგრეთვე თავდაცვის ძალების სამოქალაქო პირებს (მათ შორის, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს), სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრა-დასახიჩრების ან ტრამვის მიღების გამო, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მიეცემა ყოველთვიური დანამატი 200-დან (ორასი) 800 (რვაასი) ლარამდე ოდენობით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 10 თებერვლის ბრძანება №19 - ვებგვერდი, 11.02.2020წ.

## **თავი IV**

### **სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა შრომის ანაზღაურება**

#### **მუხლი 32**

1. დამტკიცდეს სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების

მქონე პირთა შრომის ანაზღაურება (დანართი №9).

2. სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა თანამდებობების თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით ამ ბრძანების №9 დანართით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე.

#### **მუხლი 33**

1. სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის ეძლევა სახელფასო დანამატი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს სახელფასო დანამატი მიეცემათ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), „საჯარო დაწესებულებაში შრომის



ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

### მუხლი 34

სამინისტროს სამოქალაქო ოფისში დასაქმებულ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოხელის კლასის დანამატი მიეცემა თანამდებობრივი სარგოს პროცენტული ოდენობით შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

კლასი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
საკლასო დანამატის												
განაკვეთი	1%	2%	3%	4%	5%	6%	7%	8%	9%	10%	12%	15%

### მუხლი 35

სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო მიეცემათ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მოხელის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

## თავი V

### სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიები

### მუხლი 36

სამხედრო მოსამსახურეებს (სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების, რეზერვისტთა ან წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვიდან ჩარიცხული მსმენელების გარდა), რომლებიც დათხოვნილი არიან სამხედრო სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის გამო, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების (სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლების გარდა) მიხედვით (მათ შორის, სსრკ-ის ჯარში სამსახურის პერიოდს 1991 წლის 21 დეკემბრამდე) ეძლევათ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება №10 დანართით გათვალისწინებული გაანგარიშების ნორმების მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- ა) 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) – სამმაგი;
- ბ) 2-დან 10 წლამდე – ხუთმაგი, ხოლო ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებს 10 წლამდე – ექვსმაგი;
- გ) 10-დან 15 წლამდე – რვამაგი;
- დ) 15-დან 20 წლამდე – ათმაგი;
- ე) 20 წელი და მეტი - თორმეტმაგი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.

### მუხლი 37

სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან სამინისტროს თავდაცვის ძალების რიგებიდან პირადი განცხადების (სურვილის) საფუძველზე ან მხარეთა შეთანხმებით და ნამსახურები აქვთ არანაკლებ 10 წლისა, ეძლევათ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება №10 დანართით





გათვალისწინებული გაანგარიშების ნორმების მიხედვით, ორმაგი ოდენობით. ეს მუხლი არ ვრცელდება იმ სამხედრო მოსამსახურეებზე, რომლებიც დათხოვნილი არიან კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.

### **მუხლი 38**

სამოქალაქო პირებს, რომლებიც გათავისუფლებული არიან სამსახურიდან, ეძლევათ ერთჯერადი დახმარება თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

- ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო – 1 თვის;
- ბ) დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო – 2 თვის.

### **მუხლი 39**

სამინისტროს თავდაცვის ძალების სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს, რომლებიც დათხოვნილი არიან სამსახურიდან ავადმყოფობის გამო, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, სამხედრო და სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები საერთო ოდენობის კალენდარული წლების მიხედვით ეძლევათ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება N11 დანართით გათვალისწინებული გაანგარიშების ნორმების მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- ა) 2 წლამდე (მაგრამ არანაკლებ 6 თვისა) – სამმაგი;
- ბ) 2-დან 10 წლამდე – ხუთმაგი, ხოლო ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებს 10 წლამდე – ექვსმაგი;
- გ) 10-დან 15 წლამდე – რვამაგი;
- დ) 15-დან 20 წლამდე – ათმაგი;
- ე) 20 წელი და მეტი – თორმეტმაგი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.

### **მუხლი 40**

1. სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს (მათ შორის, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს) უფლება აქვთ ისარგებლონ უფასო სამედიცინო მომსახურებით სამინისტროს დაქვემდებარებულ სამხედრო-სამედიცინო ქვედანაყოფებში.

2. სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში, ამ ჰოსპიტალში არსებული სამედიცინო მომსახურებით, მისი დებულების შესაბამისად, უფლება აქვთ ისარგებლონ:

- ა) სამინისტროს და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს (მათ შორის, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს), სამხედრო განათლებისა და მომზადების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებს (კადეტებს);
- ბ) მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კატეგორიის პირებს, თუ ისინი წარმოადგენენ:



ბ.ა) სამინისტროდან დათხოვნილ სახელმწიფო კომპენსაციის/პენსიის მიმღებ პირებს;

ბ.ბ) მარჩენალის გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის/პენსიის მიმღებ პირებს;

ბ.გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ.ა“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ პირთა ოჯახის წევრებს (მეუღლე, შვილი, დედა, მამა);

ბ.დ) საბრძოლო მოქმედებების, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის, ან სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის დროს დაღუპულის ოჯახის წევრებს (მეუღლე, შვილი, დედა, მამა);

ბ.ე) მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა კატეგორიის პირებს.

3. სამინისტროს ხარჯზე ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირების მიერ სამედიცინო მომსახურებით სხვა სამედიცინო დაწესებულებაში სარგებლობის შემთხვევები, გასაწევი ხარჯების მოცულობა და წინაპირობები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

შენიშვნა:

ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის გასაწევი ხარჯების მოცულობაზე არ ვრცელდება ამ ბრძანების 51-ე მუხლით გათვალისწინებული მომსახურებისათვის გასაწევი ხარჯების 5 000-ლარიანი შეზღუდვა.

#### მუხლი 41

1. სასწავლებლად წარგზავნილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან დაკავებული თანამდებობიდან და წარგზავნილნი არიან მსმენელებად სხვადასხვა სასწავლებლებში, სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში უნარჩუნდებათ ფულადი სარგოები, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი, სასურსათო ულუფის ნაცვლად დაწესებული ფულადი კომპენსაციები, ხოლო სამოქალაქო პირებს – თანამდებობრივი სარგო და წელთა ნამსახურობის დანამატი. ამასთანავე, ეძლევათ სამივლინებო თანხები დადგენილი წესით (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სასწავლებლად ჩარიცხულ მსმენელებს:

ა) ყოველთვიურად უწესდებათ მხოლოდ ფულადი სარგო 276 ლარის ოდენობით, თუ სასწავლებელში ჩარიცხვამდე პირი იმყოფებოდა:

ა.ა) რეზერვისტთა აღრიცხვაზე;

ა.ბ) წვევამდელთა აღრიცხვაზე და სასწავლებელში ჩარიცხვასთან ერთად გახდა საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე;

ბ) უნარჩუნდებათ მხოლოდ ფულადი სარგოები, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი, სასურსათო ულუფის ნაცვლად დაწესებული ფულადი კომპენსაციები, თუ სასწავლებელში ჩარიცხვამდე პირი წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ იუნკერებზე. აღნიშნულ იუნკერებს უწესდებათ სტიპენდია მინისტრის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სტიპენდიების გაცემის კრიტერიუმებისა და მოცულობის შესაბამისად.

3. სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია უფლებამოსილია უზრუნველყოს აკადემიაში იუნკერის სტატუსის მოპოვების გარეშე მიღებულ პირთა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საფასურის გადახდა და მონაწილეობის მიღებასთან



დაკავშირებული სხვა ხარჯების ანაზღაურება.

4. სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია უფლებამოსილია, აკადემიის ინტერესებიდან გამომდინარე, სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, უზრუნველყოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურის იუნკერის მიერ გადასახდელი თანხის საკუთარი ბიუჯეტიდან ანაზღაურება.

#### **მუხლი 42**

სასწავლებლად (გრძელვადიანი მივლინებით) სხვა სახელმწიფოში წარგზავნილ სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირებს თანამდებობრივი სარგო შესაძლებელია მიეცეთ როგორც ამ ქვეყნის, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ვალუტით, თუ ანაზღაურების სხვა პირობები არ არის გათვალისწინებული. შესაბამისი ქვეყნის ვალუტით ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

#### **მუხლი 43**

სამხედრო მოსამსახურეებს საომარი მდგომარეობის დროს მოქმედ სამხედრო ნაწილში ყოფნის, ან შეიარაღებულ კონფლიქტში უშუალო მონაწილეობის, ან მშვიდობიან პერიოდში სპეციალური დავალების შესრულების დროს, რომელიც გათანაბრებული იქნება საბრძოლო მოქმედებებთან, ერთი დღე ჩათვლებათ ნამსახურობის სამ დღედ. პირს, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა შეიარაღებულ კონფლიქტში და იყო საბრძოლო მოქმედებისათვის მზადყოფნაში, ან უზრუნველყოფდა საბრძოლო მოქმედებებს, ან იმყოფებოდა შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში, ნამსახურობის ერთი დღე ჩათვლება ორ დღედ. შესაბამისად ფულადი სარგოები დროის ამ პერიოდში მიეცემათ სამმაგი ან ორმაგი ოდენობით.

#### **მუხლი 44**

სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს, რომლებსაც ეძლევათ შესაბამისად ფულადი სარგოები ან თანამდებობრივი სარგო ერთნახევარი, ორმაგი ან სამმაგი ოდენობით – წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი, ყველა სახის დახმარება, დანამატი, ჯილდო და პენსიის/კომპენსაციის დასანიშნად ფულადი სარგოები უანგარიშდებათ ფულადი სარგოებისა და თანამდებობრივი სარგოების ერთმაგი ოდენობიდან.

#### **მუხლი 45**

„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ გასაცემლებზე ვალდებულებები წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსთვის აღნიშნული მიზნით გამოყოფილი იქნება შესაბამისი ასიგნება.

#### **მუხლი 46**

უფროსი ან უმაღლესი სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდების თანამდებობაზე მყოფი სამინისტროს სამხედრო მოსამსახურისათვის ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირისთვის ბინის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შესაძლებელია შესყიდულ იქნეს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ღირებულებისა და ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, თუ სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეს ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ადგილას არ გააჩნია საცხოვრებელი ფართი.

#### **მუხლი 47**

სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის ამ ბრძანების 55-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებები, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება შემდეგი ოდენობით:



ა) მძიმე დაზიანება – 7000 ლარი;

ბ) ნაკლებად მძიმე დაზიანება – 3000 ლარი.

შენიშვნა:

დაზიანების სიმძიმის ხარისხს განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი ან საჭიროების შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 15 ნოემბრის ბრძანება №39 - ვებგვერდი, 19.11.2019წ.*

## **მუხლი 48**

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლის დაჭრის/დასახიჩრების ან მისთვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის ამ ბრძანების 55-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებები, თანამშრომელს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად მიეცემა ერთჯერადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

ა) მძიმე დაზიანება – 7000 ლარი;

ბ) ნაკლებად მძიმე დაზიანება – 3000 ლარი.

შენიშვნა:

დაზიანების სიმძიმის ხარისხს განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი ან საჭიროების შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 15 ნოემბრის ბრძანება №39 - ვებგვერდი, 19.11.2019წ.*

## **მუხლი 49**

სამოქალაქო პირს (მათ შორის, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს), რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიიღო სხეულის დაზიანება, რის შედეგადაც ცნობილი იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად ან დასახიჩრდა, თუ დადგენილი არ არის ამ ბრძანების 55-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებები, მიეცემა ერთჯერადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

ა) შრომისუნარიანობის სრული (100%) დაკარგვისას – 5000 ლარი;

ბ) შრომისუნარიანობის ნაწილობრივ (არანაკლებ 70%) დაკარგვისას – 3000 ლარი;

გ) შრომისუნარიანობის ნაწილობრივ (25%-60%-მდე) დაკარგვისას – 2000 ლარი;

დ) შრომისუნარიანობის ნაწილობრივ (1%-25%-მდე) დაკარგვისას – 1000 ლარი.

## **მუხლი 50**

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის დაღუპვის, ან მიღებული ტრავმის შედეგად გამოწვეული ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის ამ ბრძანების 55-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებები, მის ოჯახს მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით და



დაკრძალვის ხარჯები 500 ლარის ოდენობით, ასევე მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, მითითებულ ოჯახს დამატებით შეიძლება მიეცეს ერთჯერადი დახმარება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ოდენობით. სამინისტროს სამხედრო სამსახურში მყოფი პირის ან სამინისტროს სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირის დაღუპვის სხვა შემთხვევაში მისი ოჯახის ერთ-ერთ ან რამდენიმე წევრს, მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეიძლება მიეცეს ერთჯერადი დახმარება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ოდენობით. ნემტის გადასვენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სამინისტრო.

## მუხლი 50<sup>1</sup>

სამინისტროსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირის, ასევე ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის გარდაცვალების (დაღუპვის) შემთხვევაში ფაქტობრივად გაცემული ხელფასი (თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო, დანამატი, კომპენსაცია, პრემია) და დახმარება არ ექვემდებარება დაბრუნებას.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 მაისის ბრძანება №35 - ვებგვერდი, 15.05.2018წ.*

## მუხლი 51

1. მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაიცეს:

ა) 5000 ლარამდე ღირებულების ფასიანი საჩუქარი (ქონება, მომსახურება ან სამუშაო);

ბ) ფულადი დახმარება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფასიანი საჩუქარი/ფულადი დახმარება შეიძლება მიეცეს შემდეგ პირებს:

ა) ამ ბრძანების 50-ე მუხლში მითითებულ პირთა ოჯახის ერთ-ერთ ან რამდენიმე წევრს;

ბ) უზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობამდე ან კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადებამდე, უზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურის ან სპეციალური წოდების მქონე პირის ოჯახის ერთ-ერთ ან რამდენიმე წევრს;

გ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრილ ან დასახიჩრებულ სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეს (მათ შორის, დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეს) ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირს (მათ შორის, დათხოვნილ მოსამსახურეს);

დ) საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის, ან სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე სამინისტროს თავდაცვის ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეს, აგრეთვე ამ მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის ერთ-ერთ ან რამდენიმე წევრს;

ე) ამ ბრძანების 52-ე მუხლით განსაზღვრული სამოქალაქო პირის (მათ შორის, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის), აგრეთვე სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაღუპული მოსამსახურის ოჯახის ერთ-ერთ ან რამდენიმე წევრს;

ვ) საომარი მოქმედებების დროს დაღუპული პირის ოჯახის ერთ-ერთ ან რამდენიმე წევრს, თუ დაღუპულ პირს გავლილი ჰქონდა სამხედრო სარეზერვო სამსახური;

ზ) სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს (მათ შორის, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს) და მათი ოჯახის ერთ-ერთ ან რამდენიმე წევრს;



თ) სამინისტროს სისტემიდან გათავისუფლებულ/დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს, სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს, თუ მათ მიმართ გათავისუფლებამდე/დათხოვნამდე სამინისტროში სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განმხილველი კომისიის მიერ მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება შესაბამისი დახმარების გაცემის შესახებ ან სამინისტროდან გაცემულ იქნა საგარანტიო წერილი (წერილობითი დაპირება) მოსამსახურის ან მისი ოჯახის წევრის მკურნალობის ანაზღაურების შესახებ;

ი) განსაკუთრებულ შემთხვევაში გარდაცვლილი სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის ან ყოფილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის ერთ-ერთ წევრს სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფასიანი საჩუქარი (ქონება, მომსახურება ან სამუშაო), მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შეიძლება გაიცეს სამინისტროს სისტემის მოსამსახურეზე.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 26 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.*

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.*

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 15 ნოემბრის ბრძანება №39 - ვებგვერდი, 19.11.2019წ.*

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 24 ნოემბრის ბრძანება №106 - ვებგვერდი, 24.11.2020წ.*

## **მუხლი 52**

სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო პირის (მათ შორის, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის) დაღუპვის შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის ამ ბრძანების 55-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებები, ოჯახს ეძლევა ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით და დაკრძალვის ხარჯები 500 ლარის ოდენობით.

## **მუხლი 53**

სამინისტროს სამოქალაქო პირის (მათ შორის, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის), აგრეთვე სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურის დაღუპვის/გარდაცვალების სხვა შემთხვევაში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ბრძანების 52-ე მუხლში, მის ოჯახს მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ოდენობით (მაგრამ არაუმეტეს 10000 ლარისა) შეიძლება მიეცეს ერთჯერადი დახმარება.

## **მუხლი 54**

ამ ბრძანების:

ა) 50-ე მუხლის პირველი წინადადების, 52-ე და 53-ე მუხლების მიზნებისათვის ოჯახის წევრებს წარმოადგენენ: პირველ რიგში მეუღლე, არასრულწლოვანი (შვილ(ებ)ი და სრულწლოვანი შრომისუუნარო (შვილ(ებ)ი, ხოლო მათი არყოლის შემთხვევაში მეორე რიგში მშობლები და სრულწლოვანი (შვილ(ებ)ი. თუ ოჯახის წევრები არ განსაზღვრავენ ერთ პირს დახმარების მისაღებად, მაშინ დახმარება თანაბარწილად გაიცემა ყველა წევრზე (მათ შორის, 18 წლამდე დაქორწინებული პირი), ხოლო არასრულწლოვანი (გარდა 18 წლის ასაკამდე დაქორწინებულისა), აგრეთვე სრულწლოვანი შრომისუუნარო (შვილ(ებ)ის დახმარებას, მათი სახელით, იღებს (შვილ(ებ)ის კანონიერი წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ დახმარების მიმღებ პირს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, დახმარების მიღებაზე უფლებამოსილი პირის წილს მიიღებენ იმავე რიგში მყოფი ოჯახის სხვა წევრები თანაბარწილად, ხოლო მათი არყოლის შემთხვევაში შემდგომ რიგში მყოფი ოჯახის წევრები;

ბ) 50-ე მუხლის მეორე წინადადების და 51-ე მუხლის მიზნებისათვის ოჯახის წევრებს წარმოადგენენ: მეუღლე, შვილ(ებ)ი, მშობლები.

## **მუხლი 55**



ამ ბრძანების 47-ე, 48-ე და 50-ე მუხლებით გათვალისწინებული პირების მიმართ ერთჯერადი დახმარების გაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ არსებობს ან დადგინდება ვალდებულების წარმოშობის შემდეგი გამომრიცხავი გარემოებები:

ა) ამ ბრძანების 47-ე, 48-ე და 50-ე მუხლებით გათვალისწინებული პირები განზრახ ან/და უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადნენ სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინათ ამავე მუხლებში განსაზღვრული შედეგები;

ბ) ამ ბრძანების 47-ე, 48-ე და 50-ე მუხლებით განსაზღვრული შედეგები წარმოადგენენ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან/და ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების ნორმების ან/და წინდახედულობის ნორმების უხეში დარღვევის (დაუცველობის ან/და არაჯეროვანი შესრულების) შედეგს.

## მუხლი 56

ამ ბრძანებით განსაზღვრული დახმარებები არ მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## მუხლი 57

დამტკიცდეს:

ა) სამხედრო მოსამსახურეთა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაანგარიშების ნორმები (დანართი №10);

ბ) სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაანგარიშების ნორმები (დანართი №11).

## მუხლი 58

1. სამხედრო მოსამსახურეებს ოთხწლიანი კონტრაქტის სრული ვადის ამოწურვის შემდეგ, მიეცემათ ერთჯერადი დახმარება 7000 ლარის ოდენობით, თუ აღნიშნული კონტრაქტი ითვალისწინებს ერთჯერადი დახმარების გაცემის ვალდებულებას.

2. სამხედრო მოსამსახურეებს ორწლიანი, ოთხწლიანი ან რვაწლიანი კონტრაქტით სამსახურის პერიოდში, რომელიც არ ითვალისწინებდა ერთჯერადი დახმარების გაცემის ვალდებულებას, კონტრაქტი შეუწყდათ რვაწლიანი კონტრაქტის გაფორმების საფუძველზე, რვაწლიანი კონტრაქტის სრული ვადის ამოწურვის შემდეგ მიეცემათ ერთჯერადი დახმარება 7000 ლარის ოდენობით.

3. სამხედრო მოსამსახურეებს ორწლიანი, ოთხწლიანი ან რვაწლიანი კონტრაქტით სამსახურის პერიოდში, რომელიც ითვალისწინებდა ერთჯერადი დახმარების გაცემის ვალდებულებას, კონტრაქტი შეუწყდათ რვაწლიანი კონტრაქტის გაფორმების საფუძველზე, რვაწლიანი კონტრაქტის სრული ვადის ამოწურვის შემდეგ მიეცემათ ერთჯერადი დახმარება 14000 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლით განსაზღვრული ერთჯერადი დახმარება გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მინისტრის მიერ დამტკიცებული კონტრაქტის პირობები ითვალისწინებს ერთჯერადი დახმარების გაცემის ვალდებულებას.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ მოსამსახურეებს მიეცემათ შეწყვეტილი კონტრაქტის ფაქტობრივად ნამსახურები ვადის პროპორციული დახმარება. ჯამური ვადის გაანგარიშება ხდება სრული თვით. ამ მიზნით ერთ თვემდე ნამსახურები ვადა ითვლება სრული ერთი თვის სამსახურად.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 22.02.2018წ.*

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 10 თებერვლის ბრძანება №19 - ვებგვერდი, 11.02.2020წ.*

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 9 მაისის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 13.05.2020წ.*

## მუხლი 59



1. შტატების შემცირების, ავადმყოფობის, ზღვრული ასაკის საფუძველზე დათხოვნის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეს ამ ბრძანების 36-ე მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის ერთჯერად დახმარებასთან ერთად, მიეცემა ამავე ბრძანების 58-ე მუხლით განსაზღვრული ერთჯერადი დახმარება ფაქტობრივად ნამსახურები ვადის პროპორციულად.

2. ავადმყოფობის საფუძველზე დათხოვნის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეს ამ ბრძანების 47-ე მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის ერთჯერად დახმარებასთან ერთად მიეცემა ამავე ბრძანების 58-ე მუხლით განსაზღვრული ერთჯერადი დახმარება ფაქტობრივად ნამსახურები ვადის პროპორციულად.

3. სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის ან მიღებული ტრამვის შედეგად გამოწვეული ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა ამ ბრძანების 55-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრს მიეცემა ამავე ბრძანების 58-ე მუხლით განსაზღვრული ერთჯერადი დახმარება ფაქტობრივად ნამსახურები ვადის პროპორციულად. ამ პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების გაცემისას გამოიყენება ამ ბრძანების 54-ე მუხლით განსაზღვრული წესი.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 10 თებერვლის ბრძანება №19 - ვებგვერდი, 11.02.2020წ.*

## **მუხლი 59<sup>1</sup>**

1. სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურესა და მის ოჯახის წევრებს (მეუღლე, შვილი) მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად:

ა) უფინანსდებათ საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მათ მიერ გადასახდელი სწავლის წლიური საფასური არაუმეტეს 1125 (გადასახადებისა და საპენსიო შენატანის გარეშე) ლარის ოდენობით;

ბ) ეძლევათ საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის სტიპენდია სემესტრულად 750 (გადასახადებისა და საპენსიო შენატანის გარეშე) ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის:

ა) პირველი პუნქტით გათვალისწინებული სწავლის წლიური საფასური და სტიპენდია არ გაიცემა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე;

ბ) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტიპენდია არ გაიცემა სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ იუნკერზე.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 5 აგვისტოს ბრძანება №69 - ვებგვერდი, 05.08.2020წ.*

## **მუხლი 59<sup>2</sup>**

1. პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეებს პირადი სურვილის საფუძველზე, სამინისტროსთან შეთანხმებით სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, მიეცემათ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება 40 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის საფუძველზე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის მსურველთა განცხადებებს განიხილავს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია ამავე აქტით განსაზღვრული პირობებითა და წესით.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 7 აგვისტოს ბრძანება №71 - ვებგვერდი, 11.08.2020წ.*





## თავი VI

### სამინისტროს მოსამსახურეთა სამივლინებო და შენახვის ნორმები

#### მუხლი 60

დამტკიცდეს:

- ა) სამშვიდობო და სხვა სახის ოპერაციებში მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სამოქალაქო პერსონალის სტატუსით წარგზავნილ პირთა და სპეციალური წოდების მქონე პირთა სამივლინებო ზღვრული ყოველთვიური ნორმები (დანართი №12);
- ბ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული თავდაცვის ატაშეების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა და მათი აპარატების თანამდებობის შენახვის ხარჯების ყოველთვიური ნორმები (დანართი №13).

## თავი VII

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 22.02.2018წ.*

#### მუხლი 61 (ამოღებულია)

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 22.02.2018წ.*

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №140 - ვებგვერდი, 26.12.2018წ.*

#### მუხლი 62

1. სამხედრო მოსამსახურეებს პირადი სურვილის საფუძველზე, სამინისტროსთან შეთანხმებით სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, მიეცემათ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება შემდეგი ოდენობით:

- ა) პოლკოვნიკი – 30 620 ლარი;
- ბ) ვიცე-პოლკოვნიკი – 23 470 ლარი;
- გ) მაიორი – 19 390 ლარი.

2. ამ მუხლის საფუძველზე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის მსურველთა განცხადებებს განიხილავს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია ამავე აქტით განსაზღვრული პირობებითა და წესით.

3. ამ მუხლის მოქმედება ძალაშია 2019 წლის 1 თებერვლამდე.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №140 - ვებგვერდი, 26.12.2018წ.*

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 23.01.2019წ.*

#### მუხლი 63

1. სამხედრო მოსამსახურეებს პირადი სურვილის საფუძველზე, სამინისტროსთან შეთანხმებით სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, მიეცემათ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება შემდეგი ოდენობით:

- ა) პოლკოვნიკი – 40 000 ლარი;
- ბ) ვიცე-პოლკოვნიკი – 35 000 ლარი.

2. ამ მუხლის საფუძველზე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის მსურველთა განცხადებებს განიხილავს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი



კომისია ამავე აქტით განსაზღვრული პირობებითა და წესით.

3. ამ მუხლის მოქმედება ძალაშია 2020 წლის 10 აპრილამდე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის ბრძანება №25 - ვებგვერდი, 13.03.2020წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 18 მარტის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 19.03.2020წ.

დანართი №1

სამხედრო მოსამსახურეთა ყოველთვიური წოდებრივი სარგოები

(ლარებში)

№	წოდება	კოდი	წოდებრივი
			სარგო
1	არმიის გენერალი	G-4	5700
2	გენერალ-ლეიტენანტი, ადმირალი	G-3	4700
3	გენერალ-მაიორი, ვიცე-ადმირალი	G-2	3800
4	ბრიგადის გენერალი, კონტრ-ადმირალი	G-1	3000
5	პოლკოვნიკი, I რანგის კაპიტანი	O-6	2250
6	ვიცე-პოლკოვნიკი, II რანგის კაპიტანი	O-5	1800
7	მაიორი, III რანგის კაპიტანი	O-4	1545
8	კაპიტანი, კაპიტან-ლეიტენანტი	O-3	1430
9	უფროსი ლეიტენანტი	O-2	1360
10	ლეიტენანტი	O-1	1295
11	მთავარი სერჟანტი, მთავარი მიჩმანი	S-8	1700
12	მასტერ სერჟანტი, მასტერ მიჩმანი	S-7	1485
13	უფროსი სერჟანტი, უფროსი მიჩმანი	S-6	1025
14	სერჟანტი, მიჩმანი	S-5	995
15	უმცროსი სერჟანტი, უმცროსი მიჩმანი	S-4	978
16	კაპრალი, კაპრალ-სპეციალისტი, საზღვაო	S-3	964
	კაპრალი, საზღვაო კაპრალ-სპეციალისტი		
17	I კლასის რიგითი,	S-2	955
	I კლასის საზღვაო რიგითი		
	საკონტრაქტო სამსახურის რიგითი,		



18	საკონტრაქტო სამსახურის საზღვაო რიგითი	S-1	950
19	სავალდებულო სამსახურის რიგითი, სავალდებულო სამსახურის საზღვაო რიგითი	SO-1	63

**შენიშვნა:** ამ დანართით გათვალისწინებული წოდებრივი სარგოები არ ვრცელდება ამ ბრძანების მე-9 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ პირებზე, რომლებიც გადიან საწყის საბრძოლო მომზადების (BCT) კურსს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 3 აპრილის ბრძანება №34 - ვებგვერდი, 06.04.2020წ.

## დანართი №2

### სამინისტროს თავდაცვის ძალების სამოქალაქო თანამდებობის პირთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოები

(ლარებში)

№	თანამდებობები	კოდი	თანამდებობრივი სარგო
1	დეპარტამენტის უფროსი	CP-23	2 112
2	სამმართველოს უფროსი	CP-22	1 752
3	სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	CP-21	1 608
4	სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი	CP-20	1 464
5	თავდაცვის ძალების მთავარი სამხედრო მოძღვარი (კაპელანი), განყოფილების უფროსის მოადგილე, ორკესტრის უფროსის მოადგილე – უფროსი დირიჟორი	CP-19	1 320
6	სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციულ დეპარტამენტში შემავალი თანაშემწე, ქვეგანყოფილების უფროსი, მთავარი ინსპექტორი, უფროსი გამომძიებელი, ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ავტომრეცხავი.	CP-18	1 248
7	მთავარი სპეციალისტი, მთავარი სამხედრო მოძღვარი (კაპელანი), მთავარი ინჟინერი, მთავარი მექანიკოსი, უფროსი ინსპექტორი, გამომძიებელი	CP-17	1 176
8	სპეცტექნიკის სპეციალისტი, ექსკავატორის სპეციალისტი	CP-16	1 145
9	უფროსი სპეციალისტი, უფროსი სამხედრო მოძღვარი (კაპელანი), უფროსი ინჟინერი, უფროსი მასწავლებელი, ინსპექტორი, პუნქტის უფროსი, სექციის მეთაური, სადგურის უფროსი, უფროსი მუსიკოსი, წამყვანი მენეჯერი (სამუშაოთა მწარმოებელი)	CP-15	1 104
10	ექიმი, უმცროსი ექიმი, ინჟინერი	CP-14	1 060
11	სპეციალისტი, სამხედრო მოძღვარი (კაპელანი), მასწავლებელი, სამოქალაქო ავიაციასთან ურთიერთქმედების კორდინატორი, მფრინავი-ისტრუქტორი, ფრენების ხელმძღვანელი, სტილისტი, უცხო ენების მთარგმნელი, თარჯიმანი, დამკაბადონებელი, ფორთიფიკატორი, მუსიკოსი, ენერგეტიკოსი, მეტეოროლოგი	CP-13	960



12	ავტომწის მძღოლ-ოპერატორი, ავტომტვირთავის მექანიკოსი, აკუმულატორების რემონტის ოსტატი	CP-12	920
13	მძღოლი; მძღოლი-ექსპედიტორი, მძღოლი-მეხანძრე; მძღოლი-მექანიკოსი; ავტოკარის მძღოლი, უნაგირა საწვევარის მძღოლი, სახანძრო მანქანის მძღოლი, მოძრავი სარემონტო სახელოსნოს მძღოლი, ტექნიკური დახმარების ავტომანქანის მძღოლი, სპეცტექნიკის მძღოლი-მექანიკოსი, მუხლუხიანი ტექნიკის მძღოლი-მექანიკოსი	CP-11	885
14	მეაკუმულატორე	CP-10	870
15	ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის დისპეტჩერი	CP-9	860
16	(ამოღებულია - 27.01.2021, №04)		
17	ოსტატი, სახანძრო მანქანის ოპერატორი, საწყობის უფროსი,	CP-7	792
18	ელექტრიკოსი, შემდუღებელი, მეხანძრე, გენერატორის შემკეთებელი, სავალი ნაწილის შემკეთებელი, ძრავის შემკეთებელი, სანტექნიკოსი, გამმართველი, ზეინკალი	CP-6	768
19	დურგალი, მეთუნეუქე, მღებავი, ხარატი	CP-5	744
20	ბიბლიოთეკარი, ინსტრუქტორი, უფროსი მზარეული, მზარეული, ადმრცხველი, ადრცხვის სპეციალისტი, მედდა, რეგისტრატორი, ლაბორანტი, ფარმაცევტის თანაშემწე, ტექნიკოსი, ავტომძრავების სპეციალისტი, სავალი ნაწილის სპეციალისტი, ოპერატორი, ექსკავატორის ოპერატორი, მძღოლი-ოპერატორი, დისპეტჩერი, რადიოოპერატორი, მექანიკოსი, ქსელების ადმინისტრატორი	CP-4	732
21	ელექტროაირშემდუღებელი, დეზინფექტორი, შემკეთებელი	CP-3	708
22	სანიტარი, მზარეულის დამხმარე, ფელდეგერი, ტვირთების დამმუშავებელი, მეჯინიბე, ავტომრეცხავი, მკერავი	CP-2	684
23	მეკუჭნავე, დამლაგებელი	CP-1	665

**შენიშვნა:**

- იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამდებობა არ არის გათვალისწინებული ამ დანართის ჩამონათვალში, მისი გათანაბრება შესაბამის თანამდებობასთან ხდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- აღნიშნული დანართის მოქმედება არ ვრცელდება ამ ბრძანებით დამტკიცებული №2<sup>1</sup> დანართით გათვალისწინებულ თანამდებობებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 22.02.2018წ.  
 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №79 - ვებგვერდი, 18.10.2018წ.  
 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №95 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.  
 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.  
 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 10 თებერვლის ბრძანება №19 - ვებგვერდი, 11.02.2020წ.  
 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 27 იანვრის ბრძანება №04 - ვებგვერდი, 28.01.2021წ.

**დანართი №2<sup>1</sup>**

**სამინისტროს თავდაცვის ძალების სამოქალაქო თანამდებობების ნუსხა და კოეფიციენტების კატეგორიები თანამდებობრივი სარგოებისთვის**

(ლარებში)

№	თანამდებობის დასახელება	კოდი	კოეფიციენტების კატეგორიები თანამდებობრივი სარგოებისთვის					
			2.80	3.30	3.80	4.40	5.60	6.00
1	დეპარტამენტის უფროსი	PS-8	2.80	3.30	3.80	4.40	5.60	6.00
2	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსის მოადგილე, ეროვნული გვარდიის უფროსის მოადგილე	PS-7	2.50	2.80	3.20	3.60	4.40	4.50



3	ბაზის უფროსი, სამმართველოს უფროსი, ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მოადგილე	PS-6	2.20	2.50	2.80	3.10	3.50	4.00
4	სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, სასწავლო ცენტრის „სორტა“ უფროსი	PS-5	2.10	2.30	2.40	2.50	2.60	2.80
5	განყოფილების უფროსის მოადგილე, ქვეგანყოფილების უფროსი, ჯგუფის უფროსი, სასწავლო ცენტრის „სორტა“ უფროსის მოადგილე, მთავარი იურისტი, მთავარი ეკონომისტი, მთავარი სპეციალისტი, თავდაცვის ძალების მეთაურის თანაშემწე პროტოკოლის და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში.	PS-4	1.30	1.40	1.60	1.80	2.00	2.20
6	სასწავლო კურსის უფროსი, უფროსი იურისტი, აღრიცხვის ინსპექტორი, აღრიცხვის უფროსი სპეციალისტი, აფთიაქის უფროსი, უფროსი სპეციალისტი	PS-3	0.95	1.00	1.20	1.40	1.60	1.80
7	იურისტი, ბუღალტერი, ბუღალტერ-აღმრიცხველი, აღმრიცხველი, ფარმაცევტი, აღრიცხვის სპეციალისტი, სპეციალისტი	PS-2	0.85	0.90	1.00	1.15	1.30	1.50
8	საიდუმლო საქმისმწარმოებელი, საქმისმწარმოებელი, არასაიდუმლო საქმისმწარმოებელი, პასუხისმგებელი შემსრულებელი, არქივარიუსი	PS-1	0.85	0.90	1.00	1.15	1.30	1.50

**შენიშვნა:**

- ამ დანართით გათვალისწინებულ თანამდებობებისათვის განსაზღვრული კოდი და თანამდებობრივი სარგო მტკიცდება მინისტრის ინდ.აქტით განსაზღვრული სამტატო ნუსხით.
- ამ დანართით გათვალისწინებულ თანამდებობებზე არ ვრცელდება ამ ბრძანებით გათვალისწინებული დანამატები, გარდა საკლასო ჩინის და ამ ბრძანების 24<sup>1</sup> და 31-ე მუხლებით განსაზღვრული დანამატებისა.
- აღნიშნული დანართის მოქმედება არ ვრცელდება ამ ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართით გათვალისწინებულ თანამდებობებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის ბრძანება №5 - ვებგვერდი, 14.01.2020წ.  
 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის ბრძანება №26 - ვებგვერდი, 13.03.2020წ.  
 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 9 მაისის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 13.05.2020წ.  
 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება №96 - ვებგვერდი, 27.10.2020წ.  
 საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 22 იანვრის ბრძანება №03 - ვებგვერდი, 22.01.2021წ.

**დანართი №3**

